**საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო**

ქ. თბილისი № 1/8 „16" იანვარი 2008 წ.

# გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

**ზოგიერთი მოსამართლისათვის საცხოვრებელი ბინის დაქირავებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ**

„საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთათვის თანამდებობრივ სარგოზე დანამატის განსაზღვრისა და საცხოვრებელი ფართობით უზრუნველყოფის ხარჯების ანაზღაურების წესის შესახებ" საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2007 წლის 25 სექტემბრის №1/202 გადაწყვეტილების პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტისა და „საცხოვრებელი ბინის დაქირავებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ" საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2006 წლის 27 დეკემბრის №1/119-2006 გადაწყვეტილების შესაბამისად, 2008 წლის 1 იანვრიდან, –

1. თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლეებს დავით ღიბრაძეს, გიორგი ჩემიას და ნინო სანდოძეს ქ. თბილისში საცხოვრებელი ბინის დაქირავებისთვის საჭირო ხარჯების ანაზღაურებისათვის გამოეყოთ თვეში 450 ლარი.

2. ქუთაისის საქალაქო სასამართლოში მივლინებულ მოსამართლე თეიმურაზ დგვარელს და გაგრის საქალაქო და გუდაუთის რაიონულ სასამართლოში მივლინებულ მოსამართლე ირინა ზარქუას ქ. ქუთაისში საცხოვრებელი ბინის დაქირავებისთვის საჭირო ხარჯების ანაზღაურებისათვის გამოეყოთ თვეში 350 ლარი.

3. ბათუმის საქალაქო სასამართლოს მოსამართლეებს დავით გელაშვილს და ნინო ვაშაყმაძეს, ბათუმის საქალაქო სასამართლოში მივლინებულ მოსამართლე როინ კახიძეს ქ. ბათუმში საცხოვრებელი ბინის დაქირავებისთვის საჭირო ხარჯების ანაზღაურებისათვის გამოეყოთ თვეში 450 ლარი.

4. გორის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ მოსამართლე დავით პაპუაშვილს, გორის რაიონულ სასამართლოში მივლინებულ მოსამართლეებს თეა ძიმისტარაშვილს, ქეთევან ჯაჭვაძეს და ნინო გერგაულს ქ. გორში საცხოვრებელი ბინის დაქირავებისთვის საჭირო ხარჯების ანაზღაურებისათვის გამოეყოთ თვეში 300 ლარი.

5. ზესტაფონის რაიონულ სასამართლოში მივლინებულ მოსამართლეებს მერაბ გაბინაშვილს, შოთა ნიკურაძეს და ლევან მეშველიანს ქ. ზესტაფონში საცხოვრებელი ბინის დაქირავებისთვის საჭირო ხარჯების ანაზღაურებისათვის გამოეყოთ თვეში 300 ლარი.

6. თელავის რაიონულ სასამართლოში მივლინებულ მოსამართლე ნუნუ ნემსიწვერიძეს ქ. თელავში საცხოვრებელი ბინის დაქირავებისთვის საჭირო ხარჯების ანაზღაურებისათვის გამოეყოს თვეში 300 ლარი.

7. გარდაბნის რაიონული სასამართლოს მოსამართლე გიორგი გოგიჩაშვილს ქ. გარდაბანში საცხოვრებელი ბინის დაქირავებისთვის საჭირო ხარჯების ანაზღაურებისათვის გამოეყოს თვეში 200 ლარი.

7. დედოფლისწყაროს რაიონული სასამართლოს მოსამართლე თამარ ჭუნიაშვილს დედოფლისწყაროში საცხოვრებელი ბინის დაქირავებისთვის საჭირო ხარჯების ანაზღაურებისათვის გამოეყოს თვეში 200 ლარი.

8. თეთრიწყაროს რაიონული სასამართლოს მოსამართლე მარიამ დარისპანაშვილს თეთრიწყაროში საცხოვრებელი ბინის დაქირავებისთვის საჭირო ხარჯების ანაზღაურებისათვის გამოეყოს თვეში 200 ლარი.

9. თერჯოლის რაიონული სასამართლოს მოსამართლე მერი მაისურაძეს თერჯოლაში საცხოვრებელი ბინის დაქირავებისთვის საჭირო ხარჯების ანაზღაურებისათვის გამოეყოს თვეში 200 ლარი.

10. მცხეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრ მოსამართლე თეიმურაზ ჯერვალიძეს დუშეთში საცხოვრებელი ბინის დაქირავებისთვის საჭირო ხარჯების ანაზღაურებისათვის გამოეყოს თვეში 200 ლარი.

10. ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მოსამართლეებს იური სარჯველაძეს, ირაკლი შავაძეს და ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში მივლინებულ მოსამართლე ლევან ნუცუბიძეს ოზურგეთში საცხოვრებელი ბინის დაქირავებისთვის საჭირო ხარჯების ანაზღაურებისათვის გამოეყოთ თვეში 200 ლარი.

11. ოჩამჩირის რაიონული და ტყვარჩელის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე გენო ბეჭვაიას სენაკში საცხოვრებელი ბინის დაქირავებისთვის საჭირო ხარჯების ანაზღაურებისათვის გამოეყოს თვეში 200 ლარი.

12. ყვარლის რაიონული სასამართლოს მოსამართლე ოლია სეფიაშვილს ყვარელში საცხოვრებელი ბინის დაქირავებისთვის საჭირო ხარჯების ანაზღაურებისათვის გამოეყოს თვეში 100 ლარი.

13. ხაშურის რაიონული სასამართლოს მოსამართლე დავით მგელიაშვილს ხაშურში საცხოვრებელი ბინის დაქირავებისთვის საჭირო ხარჯების ანაზღაურებისათვის გამოეყოს თვეში 200 ლარი.

14. ხონის რაიონული სასამართლოს მოსამართლე დარეჯან კვარაცხელიას ხონში საცხოვრებელი ბინის დაქირავებისთვის საჭირო ხარჯების ანაზღაურებისათვის გამოეყოს თვეში 200 ლარი.

15. დაევალოს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო სასამართლოების დეპარტამენტს კანონმდებლობით დადგენილი წესით განახორციელოს ამ გადაწყვეტილებით გათვალისწინებული საცხოვრებელი ბინის ქირის გაცემა.

16. გადაწყვეტილებაში მითითებულმა მოსამართლეებმა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო სასამართლოების დეპარტამენტს გადაწყვეტილების გაცნობიდან 2 კვირის ვადაში წარუდგინონ საცხოვრებელი ფართობით უზრუნველყოფის ხარჯების ანაზღაურებისათვის ყველა საჭირო დოკუმენტაცია.

გიორგი ხიზანიშვილი

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს

მდივანის მოვალეობის შემსრულებელი